

## სტუ-ს საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის წარმომადგენლის მობილობა სტამბოლის ბილგი უნივერსიტეტში

2021 წლის 6-10 დეკემბერს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის წარმომადგენელი მარიკა ზვიადაძე სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა სტამბოლის ბილგი უნივერსიტეტში (სტამბოლი, თურქეთი) (Istanbul Bilgi University). ვიზიტი ERASMUS+ KA1 პროექტის ადმინისტრაციული პერსონალის გაცვლის ფარგლებში განხორციელდა.



მარიკა ზვიადაძე შეხვდა პროექტის კოორდინატორი უნივერსიტეტის გლობალური ტალანტის მართვის ცენტრის (Global Talent Management Center) დირექტორს, ჰანდე ბალტაჩის, ოფისის წარმომადგენლებს - ანსუ ჯომკონსუს, დენიზ კირჩის, სელინ მერალს, ჯერენ აიდემირს.



ერაზმუსის ოფისში წარადგინა პრეზენტაცია სტუ-ის საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის მუშაობის შესახებ. ისაუბრა საერთაშორისო პროექტებში სტუ-ის ჩართულობაზე, ევროპის უნივერსიტეტებში სტუდენტების მიერ დაგროვებული კრედიტების საქართველოში აღიარებაზე, ქართულ უნივერსიტეტებში არსებული ინფრასტრუქტურის გამართულობაზე შშმ პირებისთვის. სამუშაო ვიზიტის ფარგლებში განიხილეს სტუდენტებისა და თანამშრომლების მობილობასთან დაკავშირებული კონკრეტული საკითხები.



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და სტამბოლის ბილგი უნივერსიტეტის წარმომადგენლები შეთანხმდნენ ახალი Erasmus+ პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობის გაგრძელებაზე და განიხილეს ტექნიკური დეტალები.



მონიტორინგის მიზნით, მარიკა ზვიადაძე შეხვდა სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტს ინვერ არდაშელიას, რომელიც Erasmus+ მობილობის ფარგლებში ერთი სემესტრით სწავლას აგრძელებს სტამბოლის ბილგი უნივერსიტეტში.

სტამბოლში ყოფნის პერიოდში მარიკა ზვიადაძე, კონტაქტის დამყარების მიზნით, იმყოფებოდა სხვა თურქულ უნივერსიტეტებშიც.



სტამბოლის კენტის უნივერსიტეტში იგი შეხვდა Erasmus+ პროგრამის ვიცე-კოორდინატორს, იპეკ საირაკსა და საერთაშორისო ურთიერთობათა ოფისის

წარმომადგენელს, ემრე ათსუს. უნივერსიტეტს აფინანსებს უწყვეტი განათლების ფონდი, რომელიც დაარსდა მოწინავე ტექნოლოგიების მსოფლიო სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობისთვის.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და სტამბოლის კენტის უნივერსიტეტი ითანამშრომლებენ შემდეგი მიმართულებებით: საერთაშორისო ურთიერთობები, ლოგისტიკა, ბიზნესადმინისტრირება, ინტერიერის არქიტექტურა და დიზაინი, პოლიტიკური და სოციალური მეცნიერებები.

მარიკა ზვიადაძე ეწვია სტამბოლის გალათას უნივერსიტეტს, სადაც შეხვდა საერთაშორისო ურთიერთობათა ოფისის წარმომადგენელს, მაჰმუდ დარვიშს. ისაუბრეს ორმხრივი ხელშეკრულების დეტალებზე. სტუ და გალათას უნივერსიტეტი ითანამშრომლებენ ბიოსამედიცინო და სოციალური მეცნიერებების მიმართულებით.



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, ასევე, კონტაქტი დამყარა სტამბოლის კულტურის უნივერსიტეტთან. ესაუბრა საერთაშორისო ურთიერთობათა ოფისის უფროსის მოადგილეს, აჰმეთ შიმშექს. ქართულ და თურქულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის გაფორმდება ინტერინსტიტუციური ხელშეკრულება და შესაძლებელი გახდება სტუდენტებისა და თანამშრომლების გაცვლა საინჟინრო სპეციალობების, ბიზნესადმინისტრირების, საერთაშორისო ურთიერთობების, არქიტექტურის, დიზაინის მიმართულებით.



მარიკა ზვიადაძე, ასევე, ეწვია ილდიზის ტექნიკურ უნივერსიტეტს, რომელთანაც სტუ-ს რამდენიმეწლიანი ურთიერთობა აკავშირებს. ესაუბრა საერთაშორისო ურთიერთობათა სამსახურის წარმომადგენელს, აიზელ გულერს. სტუ და ილდიზის ტექნიკური უნივერსიტეტი თანამშრომლობას გააგრძელებენ განახლებული ინტერინსტიტუციური

ხემეკრულების საფუძველზე ახალი Erasmus+ პროექტის ფარგლებში. მარია ზვიადაძე შეხვდა პროფესორ მურატ სარის, რომელმაც ქართველ კოლეგას დაათვალიერებინა მათემატიკის დეპარტამენტი.



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლის ვიზიტი სტამბოლში ითვალისწინებდა კულტურულ აქტივობებსაც.

